

**„ბანკი კონსტანტა“ ნინო ქათამაძის და ჯგუფი „Insight“-ის
კონცერტის გენერალური სპონსორია
პრეს რელიზი**

3 მარტს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, „ბანკი კონსტანტას“ სპონსორობით ნინო ქათამაძის „ფერადი კონცერტი“ გაიმართება. კონცერტზე ნინო ქათამაძის ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი ჰიტები ახალი არანჟირებით შესრულდება. მუსიკოსს აკომპანიმენტს სიმფონიური ორკესტრის მცირე შემადგენლობა და ჩასაბერ საკრავთა ბენდი „ჯორჯიან ბრას“ გაუწევს ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით. ლაივ კონცერტზე ნინო ქათამაძე თავისი ყველა ალბომიდან შეასრულებს სიმღერებს.

პირველად ქათამაძის "ფერადი" ალბომის პრეზენტაცია 2006 წელს შედგა. მას შემდეგ გამოვიდა ალბომები სახელწოდებით "შავი", "თეთრი", "ლურჯი", "წითელი" და 2011 წელს - „მწვანე“.

„ბანკი კონსტანტა“ მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებას და მოხარულია, რომ სპონსორობას უწევს ნინო ქათამაძისა და ჯგუფი „ინსაიტის“ მორიგ კონცერტს, რაც საშუალებას მისცემს ნინო ქათამაძის შემოქმედების მოყვარულებს ისიამოვნონ მათი მუსიკით.

###

საკონტაქტო პირი:
მარიამ ყაჭეიშვილი
PR მენეჯერის ასისტენტი
+995 32 2 401 401; +995 574 888999
mariam.katcheishvili@constanta.ge

„ბანკი კონსტანტა“ საქართველოს კომერციულ ბანკთა რიცხვს 2008 წლის ივლისში შეუერთდა და ამით, პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გახდა, რომელიც ბანკად გარდაიქმნა. კომპანია 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებული 30 ფილიალის საშუალებით სრულ საბანკო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ბანკის საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა 2010-2011 წლებში, მას შემდეგ რაც ბანკს ახალი აქციონერები შეემატა – საერთაშორისო ინვესტორი, „ოიკოკრედიტი“ (11%) და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკი, „თიბისი ბანკი“ (83%). დღეისათვის „ბანკი კონსტანტა“ 37 000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 140 მილიონ ლარს აღწერს. „ბანკ კონსტანტა“-ს შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bankconstanta.ge

„ბანკი კონსტანტა“ საქართველოს კომერციულ ბანკთა რიცხვს 2008 წლის ივლისში შეუერთდა და ამით, პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გახდა, რომელიც ბანკად გარდაიქმნა. კომპანია 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებული 30 ფილიალის საშუალებით სრულ საბანკო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ბანკის საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა 2010-2011 წლებში, მას შემდეგ რაც ბანკს ახალი აქციონერები შეემატა – საერთაშორისო ინვესტორი, „ოიკოკრედიტი“ (11%) და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკი, „თიბისი ბანკი“ (83%). დღეისათვის „ბანკი კონსტანტა“ 37 000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 140 მილიონ ლარს აჭარბებს. „ბანკ კონსტანტა“-ს შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bankconstanta.ge